საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღიცენზიები და ნებართვები

ცნობარი

თბილისი
2005

წინასიტყვაობა

ცნობარი „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ლიცენზიები და ნებართვები“ განკუთვნილია მეწარმეთა ფართო წრისთვის. მისი ძირითადი მიზანია ინფორმაციული დახმარების გაწევა ლიცენზიებითა და ნებართვებით დაინტერესებულ პირთათვის.

ცნობარში მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სალიცენზიო და სანებართვო სახეები და შესაბამისი მოსაკრებლები, ასევე ზოგად ადმინისტრაციული კოდექსისა და „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონის შესაბამისად დადგენილი ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის პროცედურები. ცნობარში აგრეთვე მოცემულია ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ორგანოები, მათი კოორდინატები, საბანკო რეკვიზიტები და სხვა.

ცნობარი მომზადებულია „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის“ მიერ, „აირის საქართველოს“ მხარდაჭერით.

ცნობარი მომზადებული 2005 წლის 31 იანვრის მდგომარეობით.

გისურვებთ წარმატებებს!

შინაარსი

შესავალი 5
საკანონმდებლო რეგულირება 5
აბრეშემიკატების სფერო 5
ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობა 7
ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისთვის აუცილებელი დიაგნოსტიკური ცენტრების საქმიანობა 8
არასახიშვათო ნარჩენების იმპორტი და ტრანზიტი 8
არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლის ნებართვა 9
აუდიტორული საქმიანობა 9
აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა 10
ბეჭდებისა და შტამპების დამზადება 10
ბირთვული და რადიაციული საქმიანობა 11
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა 11
გარე რეკლამის განთავსება 12
გეოლოგიური საქმიანობა 12
გარემოსდაცვითი საქმიანობა 13
დაკვირვების ელექტრონული საშუალებების დამზადება, შეძენა, საქართველოში შემოტანაა და საქართველოდან გატანა 14
ელექტროენერგიის წარმოება, გადაცემა, დისპეტჩერიზაცია, განაწილება, ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, რეიმპორტი 15
ვეტერინარიის სფერო 15
თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობა 17
იარაღის სფერო 17
კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფერო 19
კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების სფერო 21
კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტი და ტრანზიტი 22
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფერო 23
კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანა და საქართველოში შემოტანა 23
ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების, სამორინეების მოწყობა 24
მედიცინის სფერო 25
მეტროლოგიური და გაზომვათა საშუალებების წარმოება და შეკეთება 26
მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ბეჭდვა და შენახვა 26
მშენებლობის სფერო 27
ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის სფერო 29
ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი 29
პესტიციდების სფერო 30
საბანკო და არასაბანკო სადეპოზიტო საქმიანობა, ვალუტის გამცვლელი პუნქტების საქმიანობა 31
საბაჟო ბროკერისა და საბაჟო გადამზიდველის საქმიაქნობა 32
საბაჟო ტერიტორიაზე ვაჭრობა, საქონლის გადამუშავება და საწყობების საქმიანობის ნებართვა 32
სადაზღვევო საქმიანობა და დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობა 33
სამთომოპოვებითი და სამთამადნო საქმიანობა 34
სამქნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სფერო 35
სანაშენე მეცხოველეობის სფერო 35
საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების სფერო 36

ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, კარტოგრაფიული და აეროგადაღებითი საქმიანობის ნებართვა 38
ტრანსპორტის სფერო 38
ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალური დეპოზიტარის საქმიანობა 42
შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის ნებართვა 42
წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტი და ექსპორტი 43
ხე-ტყის სფერო ..... **Error! Bookmark not defined.**
ჰიდრომეტეოროლოგიური საქმიანობა 44
ლიცენზიის გაცემის წესი 45
ნებართვის გაცემის წესი 47

შესავალი

ლიცენზია და ნებართვა წარმოადგენს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების საფუძველს კანონმდებლობით განსაზღვრულ 75 სამეწარმეო სფეროში. ლიცენზია და ნებართვა გაიცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე.

ლიცენზია და ნებართვა შინაარსით მსგავსი დოკუმენტებია, თუმცა შეიძლება გამოვყოთ მათ შორის არსებული ძირითადი განსხვავებები:

- ლიცენზიის მოქმედება უვადოა, ხოლო ნებართვა გაიცემა ერთჯერადად ან გარკვეული ვადით[1].
- ლიცენზია გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით, ნებართვა – მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით[2].
- დაუშვებელია ლიცენზიის გაცემა არასამეწარმეო საქმიანობაზე, განსაზღვრულ შემთხვევაში ნებართვა შეიძლება გაცემულ იქნეს არასამეწარმეო საქმიანობაზეც.

საკანონმდებლო რეგულირება

ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემა მოიცავს მრავალ კანონსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, რომელთაგან ძირითადია:

- „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ კანონი;
- „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონი;
- „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ კანონი.

აგროქიმიკატების სფერო

აგროქიმიკატების წარმოება და ვაჭრობა

აგროქიმიკატების წარმოებისა და ვაჭრობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს

1. „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ კანონი;
2. „აგროქიმიკატების წარმოების, აგროქიმიკატებით ვაჭრობის, აგროქიმიური და ნიადაგის დაცვისა და აგროიმიკატების ხარისხის განსაზღვრის სფეროში ლაბორატორიული საქმიანობის ლიცენზიისა და აგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვის შესახებ“ კანონი.

[1]არსებობს გამონაკლისები: ნავთობის, გაზის, ელექტროენერგიის, კავშირგაბმულობისა და აუდიტორული საქმიანობის სფეროებში ლიცენზია ვადიანია.

[2]არსებობს გამონაკლისები: მშენებლობის, არქიტექტურული ობიექტების სტრუქტურულ- ფუნქციონალური წყობისა და იერსახის შეცვლის, ადგილობრივი რეგულარული სამგზავრო გადაყვანის და საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წესით.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- აგროქიმიკატების წარმოება – 438 ლარი;
- აგროქიმიკატებით ვაჭრობა – 414 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური

მისამართი: ქ. თბილისი 0123, კოსტავას № 41
ტელეფონი: 92-11-78; 98-40-68
ფაქსი: 98-40-68
სახაზინო კოდი: 3019

აგროქიმიკატების ექსპორტ-იმპორტი

აგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის შემთხვევაში საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. „აგროქიმიკატების წარმოების, აგროქიმიკატებით ვაჭრობის, აგროქიმიური და ნიადაგის დაცვისა და აგროქიმიკატების ხარისხის განსაზღვრის სფეროში ლაბორატორიული საქმიანობის ლიცენზიისა და აგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვის შესახებ“ კანონი;
2. „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	სანებართვო სახე	მოსაკრებელი (ლარი)
1	მინერალური სასუქების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
2	მიკროსასუქების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
3	რთული სასუქების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
4	ქიმიური მელიორანტების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
5	ორგანული სასუქების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
6	ორგანულ-მინერალური სასუქების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
7	წარმოების ნარჩენების ექსპორტი ან/და იმპორტი	300
8	მეცხოველეობისა და მეფრინველეობის საკვების გასამდიდრებლად საკვები დანამატების ექსპორტი ან/და იმპორტი	300

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური;

მისამართი: ქ. თბილისი 0123, კოსტავას № 41
ტელეფონი: 92-11-78; 98-40-68
ფაქსი: 98-40-68
სახაზინო კოდი: 3058

აგროქიმიური და ნიადაგის დაცვისა და აგროქიმიკატების ხარისხის განსაზღვრის სფეროში ლაბორატორიული საქმიანობა

აგროქიმიური და ნიადაგის დაცვისა და აგროქიმიკატების ხარისხის განსაზღვრის სფეროში ლაბორატორიული საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. „აგროქიმიკატების წარმოების, აგროქიმიკატებით ვაჭრობის, აგროქიმიური და ნიადაგის დაცვისა და აგროქიმიკატების ხარისხის განსაზღვრის სფეროში ლაბორატორიული საქმიანობის ლიცენზიისა და აგროქიმიკატების ექსპორტისა და იმპორტის ნებართვის შესახებ“ კანონი;
2. „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- აგროქიმიური და ნიადაგის დაცვისა და აგროქიმიკატების ხარისხის განსაზღვრის სფეროში ლაბორატორიული საქმიანობა – 462 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური;

მისამართი: ქ. თბილისი 0123, კოსტავას № 41
ტელეფონი: 92-11-78; 98-40-68
ფაქსი: 98-40-68
სახაზინო კოდი: 3030

ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობა

ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობა – 20 ლარი (1 კვ. მეტრზე)
  - ✓ **ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის ნებართვა გაიცემა სამი წლის ვადით.**

ნებართვის გამცემი უწყების კოორდინატები

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი

მისამართი: ქ. თბილისი, მარჯვენა სანაპიროს №4
ტელეფონი: 99-85-21;
სახაზინო კოდი: 3043

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისთვის აუცილებელი დიაგნოსტიკური ცენტრების საქმიანობა

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისთვის აუცილებელი დიაგნოსტიკური ცენტრების საქმიანობისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს პრეზიდენტის ბრძანებულება №40 „ავტოსატრანსპორტო საშუალებათა ტექნიკური დათვალიერებისთვის აუცილებელი დიაგნოსტიკური ცენტრების ლიცენზირების პირობებისა და მუშაობის წესის შესახებ“.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერებისთვის აუცილებელი დიაგნოსტიკური ცენტრების საქმიანობა – 200 ლარი.

ნებართვის გამცემი უწყების კოორდინატები

შინაგან საქმეთა სამინისტრო
მისამართი: თბილისი 0114, გ. გულუას №10
ტელ.ეფონი: 99-62-96; 93-23-00
სახაზინო კოდი: 3046

არასახიფათო ნარჩენების იმპორტი და ტრანზიტი

არასახიფათო ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „საქართველოს ტერიტორიაზე ნარჩენების ტრანზიტისა და იმპორტის შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- არასახიფათო ნარჩენების ტრანზიტი;
- არასახიფათო ნარჩენების იმპორტი.

  ✓ **არასახიფათო ნარჩენების იმპორტისა და ტრანზიტისთვის მოსაკრებელი კანონით დადგენილი არ არის.**

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ᵃ
ტელეფონი: 39-91-81
სახაზინო კოდი: 5056

არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური წყობისა და იერსახის შეცვლის ნებართვა

არქიტექტურული ობიექტის სტრუქტურულ-ფუნქციური სწობისა და იერსახის შეცვლისათვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით (იხ. გვ. 47).

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- ✓ **მოსაკრებლის შემოღების უფლება აქვს და/ან იმ ქალაქის საკრებულოს, რომელიც არ შედის რაიონის შემედგენლობაში. საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1 ლარს ობიექტის ფასადის ერთ კვადრატულ მეტრზე.**

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

ადგილობრივი მმართველობითი ორგანო ან/და მისი შესაბამისი ადგილობრივი სამსახურები
სახაზინო კოდი: 4038

აუდიტორული საქმიანობა

აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით მოსაკრებლები გათვალისწინებულია შემდეგი სალიცენზიო სახეების მიხედვით:

- აუდიტორული ფირმის საქმიანობა – 156 ლარი;
- აუდიტორის საქმიანობა – 84 ლარი.

  - ✓ **ლიცენზიის მოქმედების ვადა ხუთ წელს არ აღემატება (ლიცენზია გაიცენმა 3 წლის ვადით).**

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო
მისამართი: ქ. თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. 17ᵃ
ტელეფონი: 22-58-15; 22-06-94
სახაზინო კოდი: 3008

აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა

აღმზრდელობით-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით (იხ. გვ. 45).

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:
1. „განათლების შესახებ“ კანონი;
2. „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	სალიცენზიო სახე	მოსაკრებელი (ლარი)
1	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	200
2	ყველა საფეხურის სკოლა, სპორტული სკოლა, სკოლა-ინტერნატი, ლიცეუმი, გიმნაზია, სარეაბილიტაციო ცენტრი და ბავშვთა სახლი	300
3	დაწყებითი პროფესიული, საშუალო პროფესიული და დამატებითი პროფესიული განათლების სასწავლებელი	400
4	თითოეული სპეციალობა	50
5	უმაღლესი სასწავლებელი	500
6	თითოეული სპეციალობა	100
7	სკოლისგარეშე დაწესებულება და საგანმანათლებლო კომპიუტერული ცენტრი	200
8	სასწავლო და აღმზრდელობითი კურსი	200

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი 0102, დ. უზნაძის №52
ტელეფონი: 95-32-13
სახაზინო კოდი: 3007

ბეჭდებისა და შტამპების დამზადება

ბეჭდებისა და შტამპების დამზადებისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- ბეჭდებისა და შტამპების დამზადება – 10 ლარი.

ნებართვის გამცემი უწყების კოორდინატები

შინაგან საქმეთა სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი 0114, გენერალ გ. გულუას №10
ტელეფონი: 99-10-09; 99-13-80
სახაზინო კოდი: 4020

ბირთვული და რადიაციული საქმიანობა

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- ბირთვული და რადიაციული ობიექტების დაპროექტება, სამეცნიერო-კვლევითი, საკონტროლო, მონიტორინგის, სააღრიცხვო, ინსპექტირების, ატესტირების ექსპერტიზის სამუშაოები – 90 ლარი;
- ბირთვული მასალების, რადიაქტიური ნივთიერებებისა და რადიაქტიური ნარჩენების შეძენა, გადაცემა, გადამუშავება, ტრანსპორტირება და მათთან დაკავშირებული სხვა მოქმედებები – 200 ლარი;
- ბირთვული და რადიაციული ობიექტების მშენებლობა, ფლობა და ექსპლოატაცია – 380 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ᵃ
ტელეფონი: 39-91-81
სახაზინო კოდი: 3013

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

(გარდა ნავთობისა და გაზის, მიწის რესურსებითა და ტყით სარგებლობისა)

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:
1. „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი;
2. „წყლის შესახებ“ კანონი;
3. „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახეები და შესაბამისი მოსაკრებლები

1. **წყლის რესურსებით სარგებლობა:**
   - ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყლის ამოღება – 200 ლარი;
   - წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლის ჩაშვება – 180 ლარი;
   - წყლის ობიექტებით სარგებლობისთვის წყლის ამოღების გარეშე – 150 ლარი;
   - წყლის ობიექტიდან ნივთიერებების ამოღება – 300 ლარი;
   - საკურორტო და სპორტული მიზნისთვის – 250 ლარი.

2. **ცხოველთა სამყაროთი სარგებლობა:**
   - სამონადირეო მეურნეობის შექმნისა და მის ფარგლებში ნადირობაზე მოსაკრებელი დიფერენცირებულია ჰექტრების მიხედვით 800-დან 5300 ლარამდე
   - თევზის რესურსებითა და წყლის ცხოველებით სარგებლობაზე მოსაკრებელი დიფერენცირებული წონის მიხედვით 30-დან 400 ლარამდე

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილის 15ª
ტელეფონი: 39-91-81
სახაზინო კოდი: 3022

გარე რეკლამის განთავსება

გარე რეკლამის განთავსებისა და გავრცელებისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „რეკლამის შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

მოსაკრებელი დიფერენცირებულია რაიონების მიხედვით.

- ✓ **მოსაკრებლის შემოღების უფლება აქვს სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის და იმ ქალაქის საკრებულოს, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში.**
- ✓ **მოსაკრებლის ოდენობას ადგენს საკრებულო სარეკლამო საშუალებების განთავსების ადგილის მიხედვით.**
- ✓ **საკრებულოს მიერ დაწესებული მოსაკრებლის ოდენობა სტაბილური გარე რეკლამის განთავსებისთვის არ უნდა აღემატებოდეს რეკლამის ერთ კვადრატულ მეტრზე წლიურად 300 ლარს, ხოლო საზოგადოებრივ ტრანსპორტზე რეკლამის განთავსებისთვის - წლიურად 100 ლარს.**

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

ადგილობრივი მმართველობის ორგანო
სახაზინო კოდი: 4035

გეოლოგიური საქმიანობა

გეოლოგიური საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	სალიცენზო სახე	მოსაკრებელი (ლარი)
1	რეგიონული გეოლოგიური სამუშაოები და გეოლოგიური აგეგმვა	160
2	ლითონური სასარგებლო წიადისეულის საბადოების ძებნა-ძიება	190
3	არალითონური სასარგებლო წიადისეულის საბადოების ძებნა-ძიება	190
4	მყარი საწვავი წიადისეულის საბადოების ძებნა-ძიება	190
5	ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები	190
6	საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები	190
7	გეოფიზიკური სამუშაოები	190
8	გეოქიმიური სამუშაოები	190
9	გეოეკოლოგიური სამუშაოები	160

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილის 15ª
ტელეფონი: 39-91-81
სახაზინო კოდი: 3027

გარემოსდაცვითი საქმიანობა

ლიცენზია გარემოსდაცვით საქმიანობაზე

გარემოსდაცვითი საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- გარემოსდაცვითი საქმიანობა – 150 ლარი;
- გარემოზე მავნე ზემოქმედება – 150 ლარი;
- ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა – 150 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილის 15ª
ტელეფონი: 39-91-81
სახაზინო კოდი: 3023

გარემოსდაცვითი ნებართვა

გარემოსდაცვითი საქმიანობა იყოფა ოთხ კატეგორიად მასშტაბის, მნიშვნელობისა და გარემოზე ზემოქმედების ხარისხის მიხედვით. თითოეული საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ნებართვა, რომელსაც გასცემს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო[3].

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- პირველი კატეგორიის საქმიანობა – 500 ლარი;
- მეორე კატეგორიის საქმიანობა – 300 ლარი;
- მესამე კატეგორიის საქმიანობა – 200 ლარი;
- მეოთხე კატეგორიის საქმიანობა – 100 ლარი.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილის № 15ᵃ
ტელეფონი: 39-91-81
სახაზინო კოდი: 3044

დაკვირვების ელექტრონული საშუალებების დამზადება, შეძენა, საქართველოში შემოტანაა და საქართველოდან გატანა

დაკვირვების ელექტრონული საშუალებების დამზადების, შეძენის, საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- დაკვირვების ელექტრონული საშუალებების დამზადება – 100 ლარი;
- დაკვირვების ელექტრონული საშუალებების შეძენა, საქართველოში შემოტანა და საქართველოდან გატანა – გარიგების ღირებულების 1%.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტრო
სახაზინო კოდი: 3068

[3] ნებართვის გაცემის წესი იხ. „გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ“ კანონში.

ელექტროენერგიის წარმოება, გადაცემა, დისპეტჩერიზაცია, განაწილება, ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, რეიმპორტი

ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და რეიმპორტისთვის საჭიროა ლიცენზია[4].

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- ელექტროენერგიის წარმოება[5], გადაცემა, დისპეტჩერიზაცია, განაწილება, ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, რეიმპორტი – მოსაკრებელი კანონით არ არის განსაზღვრული.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია
მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის № 45
ტელეფონი: 92-3-60; 31-17-98
სახაზინო კოდი: 3017

ვეტერინარიის სფერო

ვეტერინარული საქმიანობა

ვეტერინარული საქმიანობის სფეროში სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „ვეტერინარული სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	სალიცენზიო სახე	მოსაკრებელი (ლარი)
1.	ვეტერინარული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება:	
ა)	ვეტერინარულ აფთიაქებში	20
ბ)	ვეტერინარულ კლინიკებში	20
გ)	ვეტერინარულ კოსმეტიკურ კაბინეტებში	20
დ)	ვივარიუმებში	20
ე)	ცხოველთა სასაკლაოებზე	20
ვ)	სანიტარიულ ჩეხურ ორმოებში	20
თ)	ზოოლოგიურ მაღაზიებში	20
ი)	ცხოველთა სასტუმროებში	20

[4] ლიცენზიის გაცემის წესი იხ. „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში.
[5] „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მნიშვნელობით

კ)	ცხოველთა ვოლიერებში	20
2.	მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების, ცხოველთა საკვების (საკვებდანამატების) წარმოება	30
3.	კერძო ვეტერინარულ სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურების (ლაბორატორიების) საქმიანობა	არ არის განსაზღვრული

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ვეტერინარიის დეპარტამენტი

მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილის №15ა

ტელეფონი: 39-21-32

სახაზინო კოდი: 3019

ვეტერინარიის სფეროში ექსპორტი, იმპორტი რეექსპორტი და ტრანზიტი

მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების, ცხოველთა, ცხოველური წარმოშობის პროდუქტების (ნედლეულის), ცხოველთა საკვების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის შემთხვევაში საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	სანებართვო სახე	მოსაკრებელი (ლარი)
1.	მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტი[6] და რეექსპორტი	50
2.	სახელმწიფო ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული ცხოველების (მათ შორის, ყველა სახის ძუძუმწოვარა ცხოველი, ფრინველი, თევზი, ფუტკარი), ემბრიონის, საინკუბაციო კვერცხის, განაყოფიერებული ქვირითის, ცხოველური წარმოშობის ნედლეულის (მათ შორის ტყავი, მატყლი, ქურქ-ბეწვეული, ძვალი, ნაწლავი, ძვალ-ხორცის ფქვილი) იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი	30
3	ცხოველთა საკვების (საკვებდანამატების) იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი	50
4.	ცხოველური წარმოშობის პროდუქტების იმპორტი, ექსპორტი, რეექსპორტი და ტრანზიტი	50

- ✓ **ნებართვა იმპორტზე, ექსპორტზე, რეექსპორტსა და ტრანზიტზე გაიცემა ერთი თვის ვადით.**

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ვეტერინარიის დეპარტამენტი

მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილის №15ა

ტელეფონი: 39-21-32

სახაზინო კოდი: 3057

[6] მხოლოდ ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ბიოლოგიური, სამკურნალო და სხვა ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ტრანზიტზე სანებართვო მოსაკრებელი არ არის დადგენილი „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით.

თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობა

თამბაქოს ვაჭრობისა და გადაზიდვისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ“ კანონი (შეჩერებულია კანონმდებლობაში თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობისა და ლიცენზირების საკითხებთან დაკავშირებით სათანადო ცვლილებების განხორციელებამდე).

სალიცენზიო სახე

- იმპორტიორის ან მწარმოებლის მიერ თამბაქოს ნაწარმის საბითუმო ვაჭრობა ერთი ობიექტიდან;
- სხვა პირის მიერ თამბაქოს ნაწარმის საბითუმო ვაჭრობა ერთი ობიექტიდან;
- თამბაქოს ნაწარმის გადაზიდვა;
- პირის მიერ თამბაქოს ნაწარმით საცალო ვაჭრობა ერთი ობიექტიდან*.

*ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის საგადასახადო ინსპექცია.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი
მისამართი: ქ. თბილისი 0105, იაშვილის №4
ტელეფონი:: 93-37-30;
ფაქსი: 92-08-62, 92-20-54

იარაღის სფერო

იარაღისა და საბრძოლო მასალის დამზადება, შეკეთება და მათით ვაჭრობა

იარაღის, მისი ძირითადი ნაწილების, საბრძოლო მასალის დამზადებისა და შეკეთებისთვის და მათით ვაჭრობისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „იარაღის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- „იარაღის შესახებ“ კანონით განსაზღვრულია შემდეგი სალიცენზიო სახეები: იარაღისა და საბრძოლო მასალების დამზადება, შეკეთება და ვაჭრობა.
  - ✓ **თითოეულ სახეზე მოსაკრებელი შეადგენს 100 ლარს.**

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მისამართი: თბილისი 0146, რუსთაველის გამზირი №30

ტელეფონი/ფაქსი: 75-82-37
სახაზინო კოდი: 3010

იარაღის კოლექციონირება და ექსპონირება

იარაღის კოლექციონირებისა და ექსპონირებისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით (იხ. გვ. 47).

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „იარაღის შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- იარაღის კოლექციონირება და ექსპონირება – 100 ლარი.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
მისამართი: თბილისი 0146, რუსთაველის გამზირი №30
ტელეფონი/ფაქსი: 75-82-37
სახაზინო კოდი: 3051

იარაღის შეძენის, შენახვის, ტარების, გატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნის, იარაღის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის, (გარდა ექსპორტ-იმპორტისა, ტრანზიტისა და რეექსპორტისა), ტარის, სასროლეთის, სასროლო სანადირო სტენდის გახსნისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „იარაღის შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- პნევმატური სანადირო იარაღის შეძენის, შენახვისა და ტარების ნებართვაზე მოსაკრებელი ფიზიკური პირისთვის შეადგენს 10 ლარს, ხოლო იურიდიულისთვის - 20
- ხრახნილლულიანი სანადირო იარაღისა და მოკლელულიანი ცეცხლსასროლი იარაღის (პისტოლეტი, რევოლვერი) შეძენის, შენახვისა და ტარების ნებართვაზე მოსაკრებელი ფიზიკური პირისთვის შეადგენს 8 ლარს, ხოლო იურიდიულისთვის - 16
- სანადირო გლუვლულიანი ცეცხლსასროლი იარაღისა და გაზის იარაღის (პისტოლეტი, რევოლვერი, აეროზოლური მოწყობილობა) შეძენის, შენახვისა და ტარების ნებართვაზე მოსაკრებელი ფიზიკური პირისთვის შეადგენს 6 ლარს, ხოლო იურიდიულისთვის - 12
- ტირის, სასროლეთის, სასროლო სანადირო სტენდის გახსნის ნებართვა – 10 ლარი.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
მისამართი: თბილისი 0114, გენერალ გულუას №10
სახაზინო კოდი: 3051

შეიარაღების, საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, აგრეთვე იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ" კანონი.
2. „იარაღის შესახებ" კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- შეიარაღების (მათ შორის, იარაღის), საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოების, მომსახურებისა და საბრძოლო მასალების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვა[7] – გარიგების ღირებულების 0,5%.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მისამართი: თბილისი 0146, რუსთაველის გამზირი №30
ტელეფონი/ფაქსი: 75-82-37
სახაზინო კოდი: 3051

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფერო

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია და ნებართვა, რომელსაც გასცემს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია[8]

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში ლიცენზია გაიცემა შემდეგ საქმიანობაზე:

- საფოსტო კავშირით მომსახურება ადგილობრივი და საერთაშორისო საფოსტო გზავნილების მიღებით, გაგზავნით, გადაზიდვითა და დატარებით მომსახურება – 1000 ლარი;

[7] გარდა საქართველოს სახელმწიფო ორგანოების კუთვნილი ან მათთვის განკუთვნილი შეიარაღების (მათ შორის, იარაღის), საბრძოლო მასალის, სამხედრო ტექნიკის, ტექნიკური დოკუმენტაციის, იარაღის წარმოებასთან დაკავშირებული სამუშაოებისა და მომსახურების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის თაობაზე გაცემული ნებართვებისა

[8] ლიცენზიის გაცემის წესი იხ. კანონში „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ".

ადგილობრივი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირებით, საკაბელო ტელერადიომაუწყებლობით, მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის ქსელით მომსახურება:

- ადგილობრივი სატელეფონო კავშირის სისტემითა და ქსელით მომსახურება – 2500 ლარი;
- საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით მომსახურება – 3000 ლარი;
- საკაბელო ტელერადიოსამაუწყებლო ქსელით მომსახურება – 1000 ლარი;
- მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის საკაბელო ქსელით მომსახურება – 1000 ლარი;
- ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მაგისტრალების სიმეტრიული, კოაქსიალური და ბოჭკოვან-ოპტიკური მაგისტრალებით მომსახურება – 3000 ლარი.

თანამგზავრული ან/და საერთაშორისო სისტემებით მომსახურება:

- ტელერადიოსამაუწყებლო თანამგზავრული სისტემების მიწისზედა სადგურებით მომსახურება – 1000 ლარი;
- საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირებით მომსახურება თანამგზავრული სისტემის გამოყენებით – 3000 ლარი;
- მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის საკაბელო ქსელით მომსახურება თანამგზავრული სისტემის გამოყენებით – 1000 ლარი.

სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობა:

- მოძრავი და ფიქსირებული რადიოსატელეფონო კავშირით საქმიანობა – 1000 ლარი;
- მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის ქსელით მომსახურება რადიოხაზების გამოყენებით – 1000 ლარი;
- პერსონალური რადიოგამოძახებითი კავშირით მომსახურება – 1000 ლარი;
- ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება – 3000 ლარი;
- საეთერო ტელერადიომაუწყებლობა – 1000 ლარი;
- მონაცემთა გადაცემისა და ინტერნეტის მიწისზედა ქსელით მომსახურება სიხშირეების გამოყენებით – 1000 ლარი;
- პეიჯინგური სისტემით მომსახურება – 1000 ლარი;
- თრანქული სისტემით მომსახურება – 1000 ლარი;
- საჰაერო, საზღვაო და სახმელეთო სანავიგაციო სისტემებით მომსახურება – 1000 ლარი.

✓ **ლიცენზია გაიცემა 10 წლის ვადით.**

✓ **თუ ლიცენზიის მფლობელს ლიცენზიის მოქმედების ვადის განმავლობაში არ დაურღვევია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, კომისიის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნები, მას კომისიის გადაწყვეტილებით ლიცენზიის მოქმედების ვადა უგრძელდება 10 წლით[9].**

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის ნებართვა:

[9] ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი იხდის სალიცენზიო მოსაკრებელს და „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში ლიცენზიის გაგრძელების მომენტისათვის დადგენილ სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას. ლიცენზიის მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის გადახდის ვადას განსაზღვრავს კომისია.

- რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების დაპროექტება, მშენებლობა, წარმოება, გამოყენება, ექსპლუატაცია, იმპორტი, რეალიზაცია.

  ✓ **სანებართვო მოსაკრებელი თითოეული სახის მიხედვით შეადგენს 20 ლარს.**

- შიდატექნოლოგიური მიზნებისთვის რადიოსარელეო ხაზების გამოყენება – 200 ლარი;
- ლიცენზიის გარეშე საქმიანობისას ნუმერაციის რესურსის გამოყენება – 300 ლარი.

ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

კომუნიკაციების ეროვნული კომისია
მისამართი: ქ. თბილისი 0177, ყაზბეგის გამზ. 42
ტელეფონი: 92-16-67
სახაზინო კოდი: 3062

კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების სფერო

კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოებისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:
1. „კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონი;
2. „წყლის შესახებ“ კანონი;
3. „ვაზისა და ღვინის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

„კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონით განსაზღვრულია შემდეგი სალიცენზიო სახეები[10]:
- ალკოჰოლიანი სასმელებისა და ეთილის სპირტის წარმოების სფეროში განსაზღვრულია 16 სალიცენზიო სახე;
- ლუდის, უალკოჰოლო სასმელებისა და წყლის, მათ შორის, მინერალური წყლის სასაქონლო პროდუქციის სფეროში – 8 სახე;
- ყველა სხვა სახის კვების (მათ შორის, ბავშვთა კვების) პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების სფეროში – 29 სახე.

  ✓ **მოსაკრებელი თითოეულ ქვესახეობაზე შეადგენს 200 ლარს.**

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – **ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი „სამტრესტი“**
მისამართი: ქ. თბილისი, 0123, მ. კოსტავას ქ. №41.
ტელეფონი: 93-13-26; 33-37-01;
სახაზინო კოდი: 3014

[10] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. გზამკვლევი „როგორ მივიღოთ ლიცენზია კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოებაზე“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – **დეპარტამენტი „საქმინხილწყალი“**

მისამართი: ქ. თბილისი, 0123, მ. კოსტავას ქ. №41.
ტელეფონი: 33-32-51; 33-50-81;
სახაზინო კოდი: 3015

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – **კვების პროდუქტების ექსპერტიზისა და მონიტორინგის სამსახური**

მისამართი: ქ. თბილისი, 0186, მინდელის ქ. № 5;
ტელეფონი: 32-14-35;
სახაზინო კოდი: 3016

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურენობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების **კვების პროდუქტების ექსპერტიზის, მონიტორინგის და ლიცენზირების აჭარის სამსახური**

მისამართი: ქ. ბათუმი, 6017, გოგებაშვილის ქ. №46.
ტელეფონი: (8-88 222) 7-51-20;
სახაზინო კოდი: ალკოჰოლიანი სასმელები – 4004;
უალკოჰოლო სასმელები – 4005;
კვების სხვა პროდუქტები – 4006.

კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტი და ტრანზიტი

კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქტების იმპორტისა და ტრანზიტისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტი და ტრანზიტი – 25 ლარი.

  ✓ **ნებართვა გაიცემა ერთჯერადად ან 6 თვის ვადით.**

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება მცენარეთა დაცვის სამსახური.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის № 82
ტელეფონი: 23-40-55;
სახაზინო კოდი: 3059

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფერო

ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კანონი.

ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (უძრავ ძეგლებზე) სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვა

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებლი

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კანონით განსაზღვრულია შემდეგი სანებართვო სახეები: უძრავი ძეგლის დაზვერვა, გაწმენდა, გათხრა, კონსერვაცია, რესტავრაცია, რეკონსტრუქცია, ადაპტაცია, რეგენერაცია, უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება, გადაადგილება, დაშლა.

- ✓ **თითოეულ სახეზე მოსაკრებელი შეადგენს 340 ლარს.**

ისტორიისა და კულტურის ძეგლებზე (მოძრავ ძეგლებზე) სამუშაოების ჩასატარებლად დაშვების ნებართვა

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ კანონით განსაზღვრულია შემდეგი სანებართვო სახეები: მოძრავი ძეგლის გაწმენდა, კონსერვაცია, რესტავრაცია, რეგენერაცია, მოძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის დანაწევრება.

- ✓ **თითოეულ სახეზე მოსაკრებელი შეადგენს 340 ლარს.**

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი

მისამართი: ქ. თბილისი, მარჯვენა სანაპიროს №4
ტელეფონი: 99-85-21
სახაზინო კოდი: 3106

კულტურული ფასეულობის საქართველოდან დროებით გატანა და საქართველოში შემოტანა

კულტურული ფასეულობის საქართველდან დროებით გატანისა და საქართველოში შემოტანისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და მოსაკრებელი

- საქართველოს კულტურულ ფასეულობათა საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის ნებართვა – 14 ლარი (1 კვ. მეტრზე).

  - ✓ **ნებართვის მოქმედების ვადაა 3 თვე.**

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის მოძრავი ძეგლების სამმართველო

მისამართი: ქ. თბილისი, მარჯვენა სანაპიროს №4.

ტელეფონი: 99-85-21

სახაზინო კოდი: 3065

ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების, სამორინეების მოწყობა

ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების, სამორინეების მოწყობისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება „ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების, სამორინეების მოწყობის ნებართვის ფორმის დამტკიცების შესახებ“.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	სანებართვო სახე	მოსაკრებელი (ლარი)
1	ტირაჟიანი ლატარიის მოწყობა	1500
2	მომენატალური ლატარიის მოწყობა	1500
3	მიზნობრივი ლატარიის მოწყობა	1500
4	წამახალისებელი ლატარიის მოწყობა	1500
5	ლოტოს მოწყობა	1500
6	ბინგოს მოწყობა	1500
7	სათამაშო აპარატების სალონის მოწყობა	2000
8	ტოტალიზატორის მოწყობა	3000
9	სამორინეს (კაზინოს) საქმიანობა	20000

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მისამართი: ქ. თბილისი 0162, ირ. აბაშიძის ქ. №70

ტელეფონი: 23-53-00; 23-52-09

სახაზინო კოდი: 3048

მედიცინის სფერო

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობა

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

„სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ კანონით სამედიცინო საქმიანობაში განსაზღვრულია 311 სალიცენზიო სახე, ხოლო ფარმაცევტულ საქმიანობაში – 13 სალიცენზიო სახე[11]. მოსაკრებლები დიფერენცირებულია შესაბამისი სახეების მიხედვით.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

ფარმაცევტული საქმიანობა

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – წამლის სააგენტო.
მისამართი: ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23
ტელეფონი: 29-00-13
სახაზინო კოდი: 3005

სამედიცინო საქმიანობა

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტი.
მისამართი: ქ. თბილისი 0102, დ. უზნაძის № 78, მე-3 სართული
ტელეფონი: 94-29-13
სახაზინო კოდი: 3005

სამკურნალო საშუალებების ექსპორტ-იმპორტი

სამკურნალო საშუალებების ექსპორტისა და იმპორტისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ კანონი;

[11] დამატებითი ინფორმაცია იხ. გზამკვლევში „როგორ მივიღოთ ლიცენზია და ნებართვა სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სფეროში“.

2. „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის იმპორტი – 100 ლარი;
- სამკურნალო საშუალებების, ფარმაცევტული სუბსტანციებისა და დაუფასოებელი ფარმაცევტული პროდუქციის რეექსპორტი – 100 ლარი;
- სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტი – 100 ლარი;
- სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ექსპორტი – 100 ლარი.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – წამლის სააგენტო.
მისამართი: ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. №23
ტელეფონი: 29-00-13
სახაზინო კოდი: 3052

მეტროლოგიური და გაზომვათა საშუალებების წარმოება და შეკეთება

მეტროლოგიური და გაზომვათა საშუალებების წარმოებისა და შეკეთებისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახეები და შესაბამისი მოსაკრებლები

- მეტროლოგიური და გაზომვათა საშუალებების წარმოება – 50 ლარი;
- მეტროლოგიური და გაზომვათა საშუალებების შეკეთება – 50 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტი
მისამართი: ქ. თბილისი 0141, ჩარგლის №67
ტელეფონი: 61-25-30;
ფაქსი: 94-09-13
სახაზინო კოდი: 3009

მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ბეჭდვა და შენახვა

მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ბეჭდვისა და შენახვისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით (იხ. გვ. 45).

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- პირველი კატეგორიის პოლიგრაფიული საწარმოს საქმიანობა – 18000 ლარი;
- მეორე კატეგორიის პოლიგრაფიული საწარმოს საქმიანობა – 15000 ლარი;
- მესამე კატეგორიის პოლიგრაფიული საწარმოს საქმიანობა – 12000 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
მისამართი: თბილისი 0162, ირ. აბაშიძის ქ. №70
ტელეფონი: 23-21-94; 22-68-05; 29-07-78
ფაქსი: 29-23-68
სახაზინო კოდი: 3028

მშენებლობის სფერო

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობა

საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენცია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „საპროექტო-სამშენებლო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	სალიცენზიო სახე	მოსაკრებელი (ლარი)
1	საინჟინრო-საძიებო სამუშაოები	100
2	ქალაქთგეგმარება	100
3	საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების დაპროექტება	100
4	სამრეწველო, საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო შენობა-ნაგებობათა დაპროექტება	100
5	სატრანსპორტო ობიექტების დაპროექტება	100
6	ენერგეტიკის, ჰიდროტექნიკური და სამელიორაციო ობიექტების დაპროექტება	100
7	წყალსამეურნეო, საინჟინრო სისტემებისა და ქსელების დაპროექტება	100
8	მშენებლობის პროექტების ექსპერტიზა	100
9	ისტორიისა და კულტურის ძეგლების კონსერვაცია, რესტავრაცია-რეკონსტრუქცია, ადაპტაცია	200
10	სამშენებლო კონსტრუქციების წარმოება	200
11	საცხოვრებელი, სამოქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა	200
12	სამრეწველო და საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობების მშენებლობა	200
13	ენერგეტიკის ობიექტების მშენებლობა	200
14	საინჟინრო სისტემებისა და კომუნიკაციების მშენებლობა	200
15	სატრანსპორტო ობიექტების მშენებლობა	200
16	ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა	200
17	საკაბელო ხაზების, რადიო-სატელეფონო და სატელევიზიო-სარელეო ხაზების, რადიოსადგურების მშენებლობა	200
18	სპეციალური ნაგებობების მშენებლობა	200

19	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა	200
20	ჰიდროტექნიკური და მელიორაციული მშენებლობა	200
21	ტექნოლოგიური მოწყობილობებისა და კომუნიკაციების მონტაჟი და გასაშვებ-გამმართავი სამუშაოები	200

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას №12
ტელეფონი: 98-43-11
სახაზინო კოდი: 3006

მშენებლობის სფეროში ნებართვა

სანებართვო სახეები და გამცემი ორგანოები

მშენებლობის ნებართვა გაიცემა ობიექტის:

- მშენებლობაზე;
- რეკონსტრუქციაზე[12];
- დემონტაჟზე[13].

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების 19 კატეგორია[14], რომელთა მშენებლობა საჭიროებს ნებართვას და ამ ნებართვების გამცემი ორგანოები განსაზღვრულია „მშენებლობის შესახებ“ კანონით

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ნებართვაზე მოსაკრებელი განსაზღვრულია „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონით. მოსაკრებლები დაწესებულია ობიექტის ღირებულების შესაბამისად. აღნიშნული განაკვეთებია:

- 500 ათას ლარამდე ღირებულების ობიექტი – 1000 ლარს + ობიექტის ღირებულების 0.5%;
- 500 ათასიდან 1 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 8000 ლარი.;
- 1 დან 3 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 14000 ლარი;
- 3 დან 5 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 19000 ლარი;
- 5-დან 10 მილიონ ლარამდე ღირებულების ობიექტი – 24000 ლარი;
- 10 მილიონი და მეტი ლარის ღირებულების ობიექტი – 24000 + ობიექტის ღირებულების 0.01%.

ადგილობრივი მმართველობის არქიტექტურის სამსახურის მიერ გასაცემ მშენებლობის ნებართვებზე მოსაკრებელს განსაზღვრავს შესამაბისი რაიონის (ქალაქის) საკრებულო. მოსაკრებლის ოდენობის ზოგადი ფარგლები განსაზღვრულია „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ კანონით, რომლის მიხედვითაც „მოსაკრებლის ოდენობა ასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ფართის თითოეული კვადრატული მეტრისათვის არ უნდა აღემატებოდეს 1 ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისთვის – 5 ლარს“.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას №12

[12] გადაკეთება;
[13] დანგრევა, მოხსნა, აღება, ლიკვიდაცია;
[14] დამატებითი ინფორმაციისთვის იხილიეთ გზამკვლევი „როგორ მივიღოთ მშენებლობის ნებართვა“

ტელეფონი: 98-43-11
სახაზინო კოდი: 4033

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის სფერო

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობისთვის საჭიროა ლიცენზია[15], რომელსაც გასცემს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო.

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობა, ნავთობის გადამუშავება, გაზის დამუშავება, ნავთობის, გაზის ან/და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირება[16]:

ა) ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობა:
- გეოლოგიური რესურსები 20 მილიონამდე ტონა/კვადრატულ კილომეტრზე – 65000 ლარი;
- გეოლოგიური რესურსები 20-დან 60 მილიონ ტონა/კვადრატულ კილომეტრამდე – 130000 ლარი;
- გეოლოგიური რესურსები 60 მილიონი ტონა/კვადრატულ კილომეტრზე და ზევით – 220000 ლარი;

ბ) ნავთობის გადამუშავება – 3000 ლარი;
გ) გაზის დამუშავება – 2500 ლარი;
დ) ნავთობის, გაზისა და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირება – 2000 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო
მისამართი: ქ. თბილისი 0177, ალ.ყაზბეგის №45
ტელეფონი: 25-33-00
ფაქსი: 25-33-11
სახაზინო კოდი: 3061

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი

ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტის ან ტრანზიტისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

[15] ლიცენზიის გაცემის წესი იხ. „ნავთობისა და გაზის შესახებ“ კანონში.
[16] „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში

სფეროს არეგულირებს „შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

„შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის საექსპორტო და საიმპორტო კონტროლის შესახებ“ კანონით განსაზღვრულია შემდეგი სანებართვო სახეები: ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი[17].

- ✓ **თითოეულ სახეზე მოსაკრებელი შეადგენს 30 ლარს.**

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

მისამართი: თბილისი ალ. ყაზბეგის №42
ტელეფონი: 23-40-09; 39-30-32
ფაქსი: 23-40-09
სახაზინო კოდი: 3054

პესტიციდების სფერო

პესტიციდების წარმოება და პესტიციდებით ვაჭრობა

პესტიციდების წარმოებისა და ვაჭრობისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. „პესტიციდებისა და აგროქიმიკატების შესახებ“ კანონი;
2. „პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- ქიმიური პესტიციდების წარმოება – 460 ლარი;
- ბიოლოგიური პესტიციდების წარმოება – 280 ლარი;
- პესტიციდებით ვაჭრობა – 415 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება მცენარეთა დაცვის სამსახური

[17] ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ტრანზიტზე ნებართვა საჭირო მხოლოდ მაშინ, თუ იგი ორმაგი დანიშნულების პროდუქციის ნუსხაში აღნიშნულია ვარსკვლავით. ნუსხას ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. გზამკვლევი „როგორ მივიღოთ პროდუქციის ექსპორტ–იმპორტის ნებართვა“

მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის № 82.
ტელეფონი: 23-40-55;
სახაზინო კოდი: 3019

პესტიციდების ექსპორტი და იმპორტი

პესტიციდების ექსპორტისა და იმპორტისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „პესტიციდების წარმოებასა და ვაჭრობაზე ლიცენზიისა და ექსპორტ-იმპორტზე, ასევე კონტროლს დაქვემდებარებული მცენარეული წარმოშობის პროდუქციის იმპორტსა და ტრანზიტზე ნებართვების გაცემის შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	სანებართვო სახე	ნებართვის მოქმედების ვადა	მოსაკრებელი (ლარი)
1	გამოსაყენებლად დაშვებული პესტიციდების იმპორტი	ერთჯერადად ან 1 კალენდარული წლით	165
2	მკაცრად შეზღუდული პესტიციდების იმპორტი	ერთჯერადი	560
3	მკაცრად შეზღუდული პესტიციდების ექსპორტი	ერთჯერადი	520

ნებართვის გამცემი ორგანოს კორდინატები

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება მცენარეთა დაცვის სამსახური.
მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის № 82
ტელეფონი: 23-10-44; 22-04-18
სახაზინო კოდი: 3055

საბანკო და არასაბანკო სადეპოზიტო საქმიანობა, ვალუტის გამცვლელი პუნქტების საქმიანობა

საბანკო და არასაბანკო, ასევე ვალუტის გამცვლელი პუნქტების საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია, რომელსაც გასცემს საქართველოს ეროვნული ბანკი.

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონი;
2. „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ კანონი;
3. „არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების შესახებ“ კანონი;
4. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ლიცენზირებისა და მათი საქმიანობის ზედამხედველობის წესის დამტკიცების თაობაზე“. 2002 წლის 18 ოქტომბერი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- საბანკო საქმიანობა – 500 ლარი;
- ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საქმიანობა – 50 ლარი;
- არასაბანკო-სადეპოზიტო დაწესებულებების – საკრედიტო კავშირების საქმიანობა – 10 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს ეროვნული ბანკი
მისამართი: ქ. თბილისი 0105, ლეონიძის 3/5
ტელეფონი: 99-65-05,
ფაქსი: 99-93-46
სახაზინო კოდი: 3003

საბაჟო ბროკერისა და საბაჟო გადამზიდველის საქმიანობა

საბაჟო გაფორმებისთვის საჭირო ოპერაციების განხორციელების უფლება აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტის მიერ ლიცენზირებულ საბაჟო ბროკერს. ლიცენცია გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს საბაჟო კოდექსი;
- ფინანსთა სამინისტროს 2003 წლის 3 ოქტომბრის №501 ბრძანება.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- საბაჟო ბროკერის საქმიანობა – 1000 ლარი;
- საბაჟო გადამზიდველის საქმიანობა – 1000 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი
მისამართი: ქ. თბილისი 0109; აბზიანიძის ქ № 4
ტელეფონი: 76-83-33; 76-89-38
ფაქსი: 76-89-48
სახაზინო კოდი: 3012

საბაჟო ტერიტორიაზე ვაჭრობა, საქონლის გადამუშავება და საწყობების საქმიანობის ნებართვა

საბაჟო ტერიტორიაზე ვაჭრობისთვის, საქონლის გადამუშავებისა და საწყობების საქმიანობისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

- საქართველოს საბაჟო კოდექსი;
- ფინანსთა სამინისტროს 2003 წლის 3 ოქტომბრის №501 ბრძანება.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- უბაჟო საცალო ვაჭრობის ობიექტის შექმნა – 500 ლარი;
- საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადამუშავება – 1000 ლარი;
- საბაჟო კონტროლის ქვეშ საქონლის გადამუშავება – 1000 ლარი;
- საბაჟო და დროებითი შენახვის საწყობის შექმნა – 500 ლარი;
- საერთო მოხმარების შემდეგი ფართობის საბაჟო საწყობზე:
  - 1000 კვადრატულ მეტრზე ნაკლები – 500 ლარი;
  - 1000-დან 2000 კვადრატულ მეტრამდე – 700 ლარი;
  - 2000 კვადრატულ მეტრზე მეტი – 1000 ლარი.

✓ **საბაჟო საწყობის საქმიანობის ნებართვა გაიცემა 3 წლის ვადით.**

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაჟო დეპარტამენტი
მისამართი: ქ. თბილისი 0109; აბზიანიძის ქ № 4
ტელეფონი: 76-83-33; 76-89-38; ფაქსი: 76-89-48
სახაზინო კოდი: 3012

სადაზღვევო საქმიანობა და დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობა

სადაზღვევო საქმიანობისა და დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით (იხ. გვ. 45).

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „დაზღვევის შესახებ“ კანონი;

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	**სალიცენზიო სახე**	**მოსაკრებელი (ლარი)**
1	სიცოცხლის დაზღვევა	500
2	საპენსიო დაზღვევა (დამატებითი შემოსავლის დაზღვევა	500
3	უბედური შემთხვევისა და ავადმყოფობისაგან დაზღვევა	500
4	სამედიცინო დაზღვევა	500
5	სახმელეთო-სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	500
6	საჰაერო-სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	500
7	საწყლოსნო-სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	500
8	ტვირთების დაზღვევა	500
9	ყველა სახის ქონების დაზღვევა	500
10	ფინანსური რისკის დაზღვევა	500
11	ავტომოტორანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	500

12	გადამზიდველთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	500
13	პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა	500
14	ვალდებულებათა შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობის დაზღვევა	500
15	ყველა სახის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	500
16	გადაზღვევა	500
17	დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობა	500

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი 0164, გ. ჩიტაიას №21,
ტელეფონი: 95-72-33
ფაქსი: 95-71-42
სახაზინო კოდი: 3002

სამთომოპოვებითი და სამთამადნო საქმიანობა

სამთომოპოვებითი და სამთამადნო საქმიანობისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „წიაღის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა – 1500 ლარი;
- სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება – 3500 ლარი;
- სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება – 3500 ლარი;
- სასარგებლო წიაღისეულის საბადოების დამუშავება – 3500 ლარი;
- სამთამადნო საქმიანობა – 3500 ლარი;
- სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობა:
  - ნახშირბადის საბადოზე – 1300 ლარი;
  - ტორფისა და საპროპელიტის საბადოზე – 450 ლარი;
  - შავი ლითონის საბადოზე – 1400 ლარი;
  - ფერადი ლითონის საბადოზე – 1200 ლარი;
  - კეთილშობილი ლითონის საბადოზე – 850 ლარი;
  - იშვიათი ლითონის საბადოზე – 600 ლარი;
  - სამთო-ქიმიური ნედლეულის საბადოზე – 1100 ლარი;
  - არამადნეული ნედლეულის საბადოზე:
    ა) მცირე და საშუალო სიდიდის საბადოზე – 900 ლარი;
    ბ) დიდ საბადოზე – 1250 ლარი;
  - ძვირფასი ქვების საბადოზე – 650 ლარი;
  - საშენი მასალების საბადოზე:
    ა) მცირე და საშუალო სიდიდის საბადოზე – 900 ლარი;
    ბ) დიდ საბადოზე – 1250 ლარი;
  - მინერალური წყლის საბადოზე:
    ა) მცირე და საშუალო სიდიდის საბადოზე – 600 ლარი;
    ბ) დიდ საბადოზე – 1800 ლარი;
  - ტალახის საბადოზე – 500 ლარი;
  - ნახშირორჟანგის გაზის საბადოზე – 450 ლარი;

- მიწისქვეშა თერმული წყლის საბადოზე – 550 ლარი;
- მიწისქვეშა მტკნარი წყლის საბადოზე – 400 ლარი;
- მყარი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების და გადამუშავების ნარჩენებისა და კუდებით სარგებლობისათვის – 500 ლარი;
- ბუნებრივი სიცარიელეების, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც დაკავშირებული არ არის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან და წიაღის იმ ობიექტების შექმნასთან, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებს – 300 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილის № 15ᵃ
ტელეფონი: 39-91-81
სახაზინო კოდი: 3025

სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოების სფერო

სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის საწარმოებლად საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „სამყნობი, სათესლე და სარგავი მასალის წარმოებაზე ლიცენზიის გაცემის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- სამყნობი მასალის წარმოება (გარდა ვაზისა) – 139 ლარი;
- სათესლე მასალის წარმოება – 139 ლარი;
- სარგავი მასალის წარმოება (გარდა ვაზისა) – 139 ლარი;
- ვაზის სამყნობი მასალების სასაქონლო წარმოება – 200 ლარი;
- ვაზის სარგავი (ნამყენი ნერგი) მასალების სასაქონლო წარმოება – 200 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მომსახურების დეპარტამენტი
მისამართი: ქ. თბილისი, 0123, მ. კოსტავას ქ. №41.
ტელეფონი: 99-69-60
სახაზინო კოდი: 3031

სანაშენე მეცხოველეობის სფერო

სანაშენე საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „სანაშენე მეცხოველეობის შესახებ“ კანონი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	სალიცენზიო სახე	მოსაკრებელი (ლარი)
1	სანაშენე საქმიანობა მეძროხეობაში	270
2	სანაშენე საქმიანობა მეკამეჩეობაში	270
3	სანაშენე საქმიანობა მეცხენეობაში	270
4	სანაშენე საქმიანობა მეცხვარეობაში	258
5	სანაშენე საქმიანობა მეთხეობაში	258
6	სანაშენე საქმიანობა მედორეობაში	258
7	სანაშენე საქმიანობა მეფრინველეობაში	246
8	სანაშენე საქმიანობა მებოცვრეობაში	246
9	სანაშენე საქმიანობა მეთევზეობაში	246
10	სანაშენე საქმიანობა მეფუტკრეობაში	246

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

სოფლის მეურნეობის სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილის №15ა
ტელეფონი: 39-00-60; 39-35-21; 39-85-95
სახაზინო კოდი: 3032

საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების სფერო

საშიში საწარმოო ობიექტის კონსტრუირებასთან (შენობა-ნაგებობების დაპროექტების გარდა), ექსპლუატაციასთან, გაუქმებასთან, შეწყვეტასა და კონსერვაციასთან, საშიშ საწარმოო ობიექტზე გამოყენებული ტექნიკური მოწყობილობის დამზადებასთან, მონტაჟთან, გამართვასთან, დიაგნოსტიკასთან, მომსახურებასა და რემონტთან, რკინიგზის ტრანსპორტით საშიში ტვირთების გადაზიდვასთან, ტექნიკური უსაფრთხოების ექსპერტიზის ჩატარებასთან, საწარმოო უსაფრთხოების სფეროში პერსონალის მომზადებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისა და მშენებლობის წარმოებისას საშიში საწარმოო მექანიზმების გამოყენებისას საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „საშიში საწარმოო ობიექტის უსაფრთხოების შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

1. სამთო, მათ შორის მადნეული და არამადნეული წიაღისეულის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოების, მიწისქვეშა გამონამუშევრების, მღვიმეებისა და ხელოვნური ნაგებობების; მეტალურგიული, ქიმიური, ნავთობქიმიური, ქიმიურ-ფარმაცევტული, ბიოლოგიური და მიკრობიოლოგიური საწარმოების, ამიაკის სამაცივრო დანადგარების, საშიში ქიმიური ნივთიერებების საწყობების; ბირთვულ-რადიაციული ან სხვა მავნე მაიონებელი გამოსხივების ხელსაწყოებისა და

მოწყობილობების, აგრეთვე, დოზიმეტრული კონტროლისთვის გამოყენებული აპარატურის; ნავთობ-გაზმომპოვებელი, ნავთობ და გაზგადამამუშავებელი საწარმოების, ნავთობპროდუქტსაცავებისა და მიღება-გაცემის პუნქტების, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებთან დაკავშირებული საწარმოებისა და ობიექტების, თხევადი ქლორის მომხმარებელი ობიექტების; მარცვლეული კულტურების გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების; გაზის მეურნეობის ობიექტების (გარდა საყოფაცხოვრებო დანადგარებისა), მათ შორის გაზმომარაგების სისტემების (როგორც ბუნებრივი, ასევე თხევადი გაზის), თხევადი აირების (პროპან-ბუტანი) და დაწნეხილი ბუნებრივი გაზის ობიექტების; საქვაბე დანადგარების, წნევაზე მომუშავე ჭურჭლებისა და მილსადენების, ტვირთამწე მექანიზმების, ლიფტების, ესკალატორების, საბაგირო გზების, ფუნიკულიორების:

- ექსპლუატაცია – 80 ლარი;
- კონსტრუირება – 60 ლარი;
- გაუქმება, ექსპლუატაციის შეწყვეტა, კონსერვაცია – 55 ლარი;

2. სამთო საწარმოების ელექტრო და მექანიკური დანადგარების, მოწყობილობის, ტექნოლოგიური ტრანსპორტის; აფეთქება-ხანძარსაშიში, ტოკსიკური, მეტალურ-გიული, ქიმიური, ნავთობქიმიური, ნავთობ და გაზგადამამუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდის, მიკრობიოლოგიური წარმოების მოწყობილობების; ბირთვულ-რადიაციული ან სხვა მაიონებელი გამოსხივების მქონე ხელსაწყოებისა და მოწყობილობების, აგრეთვე, დოზიმეტრული კონტროლისათვის გამოყენებული აპარატურის; ნავთობ-გაზმომპოვებელი საწარმოების, მაგისტრალური მილსადენი ტრანსპორტის, ნავთობ და აირგადამამუშავებელი საწარმოების, თხევადი ქლორის მომხმარებელი ობიექტების; ნავთობპროდუქტსაცავების და მიღება-გაცემის პუნქტებისა და გეოლოგიურ–საძიებო სამუშაოების ტექნიკური მოწყობილობის, მარცვლეული კულტურების გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების მოწყობილობის; საქვაბე დანადგარების, წნევაზე მომუშავე ჭურჭლებისა და მილსადენების, ტვირთამწე მექანიზმების, ლიფტების, ესკალატორების, საბაგირო გზების, ფუნიკულიორების, გაზის მეურნეობის, მათ შორის, თხევადი და ბუნებრივი გაზის აპარატურის მოწყობილობისა და დანადგარების, აგრეთვე, სატრანსპორტო საშუალებების, სახიფათო ტვირთების გადასაზიდი სარკინიგზო კონტეინერებისა და მოძრავი შემადგენლობის უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველყოფისათვის საჭირო ტექნიკური სისტემებისა და მოწყობილობების, ავარიასაწინააღმდეგო დაცვის, სიგნალიზაციის საკონტროლო აპარატურის სისტემების; თბოელექტროსადგურების მოწყობილობების:

- დამზადება – 60 ლარი;
- მონტაჟი, რემონტი, მომსახურება – 60 ლარი;

3. სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობა:

- შეძენა, გამოცდა, გამოყენება, ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, ტრანზიტი – 40 ლარი;
- დამზადება, შენახვა, რეალიზაცია – 40 ლარი;

4. მშენებლობის წარმოებისას საშიში საწარმოო მექანიზმების გამოყენება (გარდა „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სფეროებისა) – 50 ლარი;
5. სახელმწიფო დაკვეთით სამოქალაქო საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირება – 40 ლარი;
6. საწარმოო უსაფრთხოების სფეროში პერსონალის მომზადებასთან დაკავშირებული საქმიანობა – 60 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია
მისამართი: თამარ მეფის გამზ. №14
ტელეფონი: 34-53-70
ფაქსი: 35-53-08
სახაზინო კოდი: 3040

ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, კარტოგრაფიული და აეროგადაღებითი საქმიანობის ნებართვა

ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, კარტოგრაფიული და აერო-გადაღებითი საქმიანობისთვის, გარდა თემატიკური ხასიათის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისა, საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური საქმიანობა ფიზიკური პირისთვის – 100 ლარი;
- ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური საქმიანობა იურიდიული პირისთვის – 200 ლარი;
- აეროგადაღებითი საქმიანობა – 500 ლარი.
    - ✓ **ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური და კარტოგრაფიული საქმიანობის ნებართვა გაიცემა 3 წლის ვადით.**

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილის № 15ᵃ
ტელ.ეფონი: 39-91-81
სახაზინო კოდი: 3049

ტრანსპორტის სფერო

საავტომობილო ტრანსპორტი

საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა სახეების მიხედვით ან საჯარო (იხ. გვ. 45) ან მარტივი (იხ. გვ. 47) ადმინისტრაციული წარმოების წესით.

საკანონმდებლო რეგულირება

საავტომობილო ტრანსპორტის სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

- „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ კანონი;
- „საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მისაღებად კონკურსის ჩატარების შესახებ“ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის ბრძანება;
- „საქართველოს ტერიტორიაზე სახიფათო ტვირთების გადაზიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრის ბრძანება;

- „რეგულარულ მარშრუტზე გადამზიდავის შერჩევის საკონკურსო პირობებისა და ხელშეკრულების ფორმის დამტკიცების შესახებ“ თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	სანებართვო სახე	გამცემი ორგანო	მოსაკრებელი (ლარი)	გაცემის წესი	ვადა
1	საერთაშორისო საავტომობილო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა	საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია	დადგენილი არ არის	მარტივი ადმინისტრაციული წარმოება	ხელშეკრუ-ლებით
2	საერთაშორისო საავტომობილო არარეგულარული სამგზავრო გადაყვანა	საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია	დადგენილი არ არის	მარტივი ადმინისტრაციული წარმოება	ხელშეკრუ-ლებით
3	საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვა	საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია	დადგენილი არ არის	მარტივი ადმინისტრაციული წარმოება	ხელშეკრუ-ლებით
4	საქართველოს ტერიტორიიდან საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვა (დადგენილი კვოტის ზევით), რომელიც ხორციელდება უცხო ქვეყნის გადამზიდველის მიერ	საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია	500	მარტივი ადმინისტრაციული წარმოება	ერთჯერადი
5	საქალაქთაშორისო საავტომობილო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა*	საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია	დადგენილი არ არის	საჯარო ადმინისტრაციული წარმოება	5 წელი
6	საგარეუბნო საავტომობილო რეგულა-რული სამგზავრო გადაყვანა*	საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია	დადგენილი არ არის	საჯარო ადმინისტრაციული წარმოება	5 წელი
7	ადგილობრივი საავტომობილო რეგუ-ლარული გადაყვანა*	ადგილობრივი თვითმმართველ-ობის ორგანო ან/და მისი შეს-აბამისი ადგილ-ობრივი სამსახ-ურის მიერ	50 (თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე თვეში)	საჯარო ადმინისტრაციული წარმოება	5 წელი
8	ადგილობრივი სატაქსო (მსუბუქი ავტომობილით, 7 კაცამდე) გადაყვანა	ადგილობრივი თვითმმართველ-ობის ორგანოს ან/და მისი შეს-აბამისი ადგილ-ობრივი სამსახ-ურის მიერ	1 (თითოეულ სატრანსპორტო საშუალებაზე თვეში)	მარტივი ადმინისტრაციული წარმოება	1 თვე
9	სახიფათო ტვირთის საავტომობილო გადაზიდვა	საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია	დადგენილი არ არის	მარტივი ადმინისტრაციული წარმოება	1 წელი

*შენიშვნა: ნებართვები საქალაქთაშორისო, საგარეუბნო და ადგილობრივ რეგულარულ სამგზავრო გადაყვანებზე გაიცემა კონკურსის წესით.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილისი 0160 ალ. ყაზბეგის № 12
ტელეფონი: 33-12-07; 33-12-02
ფაქსი: 98-25-22

ქ. თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი 0112 აბასთუმნის 8ª
ტელეფონი: 96-10-10;
ანგარიშის ნომერი: 201132801
სახაზინო კოდი: 4037

სამოქალაქო ავიაცია

სამოქალაქო ავიაციის სფეროში ლიცენზია გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. სფეროში საქმიანობისთვის ასევე საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით (იხ. გვ. 47).

საკანონმდებლო რეგულირება

სამოქალაქო ავიაციის სფეროს არეგულირებს შემდეგი ნორმატიული აქტები:

- სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ კანონი;
- სამოქალაქო ავიაციის სფეროს რეგულირების საფასურის დამტკიცების შესახებ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ბრძანება.

სალიცენზიო სახე

- საქართველოს ეროვნული ავიაგადამზიდველის მიერ რეგულარული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის შესრულება; რომელიც სრულდება საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებში (აეროპორტებიდან) კონკრეტულ საჰაერო ხაზზე;
- უცხო ქვეყნის ავიაგადამზიდველის მიერ საქართველოში, საქართველოდან ან/და საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში რეგულარული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის შესრულება.

სანებართვო სახე

- საჰაერო ხომალდის სამგზავრო ტევადობების რეალიზაცია;
- საჰაერო ხომალდის სატვირთო ტევადობების რეალიზაცია;
- არარეგულარული საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა;
- საქართველოს ტერიტორიაზე საავიაციო სამუშაოების შესრულება.

✓ **სანებართვო მოსაკრებლის ოდენობა კანონმდებლობით განსაზღვრული არაა.**

ლიცენზიის/ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილისი 0160 ალ. ყაზბეგის 12
ტელეფონი: 36-41-38
ფაქსი: 36-40-51

საზღვაო ტრანსპორტი

საზღვაო სამგზავრო გადაყვანისთვის საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. ხოლო საზღვაო ბუქსირზიდვის

განსახორციელებლად საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს ზღვის კოდექსი.

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- საზღვაო სამგზავრო გადაყვანა – 2000 ლარს.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- საზღვაო ბუქსირზიდვა (გარდა სანავსადგურო ბუქსირზიდვისა) – 1100 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საზღვაო ტრანსპორტის ადმინისტრაცია
მისამართი: ქ. თბილისი 0160 ალ. ყაზბეგის 12
ტელეფონი: 94-12-97
სახაზინო კოდი (ლიცენზია): 3011
სახაზინო კოდი (ნებართვა): 3070

ტყითსარგებლობა

ტყითსარგებლობისთვის საჭიროა ნებართვა, რომელსაც გასცემს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო[18].

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „ტყის კოდექსი“.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- ხე-ტყის დამზადება (ტყითსარგებლობა მერქნის მიღების მიზნით)* – 8 ლარი;
- პლანტაციური მეურნეობის წარმოება – 8 ლარი;
- ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების (თესლი, ნაყოფი, ძირკვი, ლაფანი, ფიჩხი, ნეკერი და სხვა) დამზადება – 8 ლარი;
- ტყის არამერქნული რესურსებით (სოკოები, სამკურნალო, ტექნიკური ნედლეული და სხვა ბალახეული, ბუჩქოვანი მცენარეები და მათი პროდუქტები) სარგებლობა – 8 ლარი;
- სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა
- სპეციალური და მიჩენის მიზნით სარგებლობა (სპეციალური დანიშნულების მიწებით სარგებლობა, წიაღის მოპოვება და სხვა) – 8 ლარი;
- სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო მიზნით სარგებლობა – 8 ლარი;
- საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა – 8 ლარი;
- სამონადირეო მეურნეობის მოწყობის მიზნით სარგებლობა*.

* შენიშვნა: გარდა ტყითსარგებლობის ბილეთით ხე-ტყის დამზადებისა და სამონადირეო მეურნეობების წარმოებისა. დამატებითი ინფორმაცია იხ. „ტყის კოდექსში“.

[18] ნებართვის გაცემის წესი იხ. „ტყის კოდექსში“.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: ქ. ტბილისი 0177, თამარაშვილის № 15ᵃ
ტელეფონი: 25-17-20
სახაზინო კოდი: 3050

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალური დეპოზიტარის საქმიანობა

ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების, აქტივების მმართველი კომპანიისა და სპეციალური დეპოზიტარის საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია, რომელსაც გასცემს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია.

საკანონმდებლო რეგილირება

სფეროს არეგულირებს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ კანონი

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

№	სალიცენზიო სახე	მოსაკრებელი (ლარი)
1	საფონდო ბირჟის საქმიანობა	2000
2	ცენტრალური დეპოზიტარის (დეპოზიტარის) საქმიანობა	1000
3	ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობა	500
4	საბროკერო კომპანიის საქმიანობის ერთი სახეობა	300
5	საბროკერო კომპანიის საქმიანობის ერთის ზევით ყოველი დამატებითი სახეობა	50
6	ბროკერის საქმიანობის ერთი სახეობა	75
7	ბროკერის საქმიანობას ერთის ზევით ყოველი დამატებითი სახეობა	25
8	აქტივების მმართველი კომპანიის საქმიანობა	300
9	სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობა .	500

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია
მისამართი: ქ. თბილისი 0162, ირ. აბაშიძის № 70
ტელეფონი/ფაქსი: 25-03-79
სახაზინო კოდი: 3004

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის ნებართვა

შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტისა და რეექსპორტის რეგულირების შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების (მათ შორის, საწარმოო ნარჩენების) ექსპორტი – 30 ლარი;
- შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების (მათ შორის, საწარმოო ნარჩენების) რეექსპორტი – 30 ლარი.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო

მისამართი: ქ. თბილისი 0177, ჭანტურიას ქ. №12
ტელეფონი: 23-40-09;
ფაქსი: 23-40-09
სახაზინო კოდი: 3054

წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტი და ექსპორტი

წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერების იმპორტის ან ექსპორტისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს „საშიში ქიმიური ნივთიერებების შესახებ“ კანონი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების იმპორტი – 600 ლარი;
- წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურას დაქვემდებარებული საშიში ქიმიური ნივთიერებების ექსპორტი – 600 ლარი.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

მისამართი: ქ. თბილისი 0160, კ განსახურდიას გამზ №30
ტელეფონი: 29-00-13
სახაზინო კოდი: 3060

ხე-ტყის ექსპორტისა და იმპორტის ნებართვა

ხე-ტყის ექსპორტის ან იმპორტისთვის საჭიროა ნებართვა, რომელიც გაიცემა მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 47)

საკანონმდებლო რეგულირება

სფეროს არეგულირებს ტყის კოდექსი.

სანებართვო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- ხე-ტყის ექსპორტი – 18 ლარი;
- ხე-ტყის იმპორტი – კანონით არ არის განსაზღვრული.

ნებართვის გამცემი ორგანოს კოორდინატები
საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილი №15ა
ტელეფონი: 25-17-20; 25-17-21; 25-17-22
სახაზინო კოდი: 3053

ჰიდრომეტეოროლოგიური საქმიანობა

ჰიდრომეტეოროლოგიური საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროა ლიცენზია, რომელიც გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. (იხ. გვ. 45)

სალიცენზიო სახე და შესაბამისი მოსაკრებელი

- მშენებლობისა და ტერიტორიების ათვისების ჰიდრომეტეოროლოგიური ექსპერტიზა – 1600 ლარი;
- ჰიდროლოგიური დაკვირვებები – 1600 ლარი;
- საზღვაო და ოკეანოგრაფიული დაკვირვებები – 1350 ლარი;
- ჰელიოგრაფიული დაკვირვებები – 1350 ლარი;
- გარემოს დაბინძურების დაკვირვებები – 1350 ლარი.

ლიცენზიის გამცემი ორგანოს კოორდინატები

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი 0177, თამარაშვილი №15ა
ტელეფონი: 25-17-20;
სახაზინო კოდი: 3026

ლიცენზიის გაცემის წესი

ლიცენზია გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით. საქმისწარმოება იწყება წერილობითი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების წარდგენით ლიცენზიის გამცემ ორგანოში. ლიცენზიის გამცემი ორგანო ვალდებულია განცხადება რეგისტრაციაში გაატაროს მიღებისთანავე და დაუსვას მას რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ხოლო განმცხადებლის მოთხოვნისას - დაუყოვნებლივ გასცეს ცნობა განცხადების რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

- ✓ **ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის ათვლა წარმოებს კალენდარული დღეების შესაბამისად, რომელშიც მიეთვლება ასევე უქმე და დასვენების დღეები[19].**

ლიცენზიის გამცემი ორგანო განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს წარდგენილი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან (ლიცენზიის მისაღებ სალიცენზიო პირობებთან). დოკუმენტების არასრულად წარდგენისას ლიცენზიის გამცემმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს აუცილებელი დოკუმენტები წარდგენა და ამისთვის განუსაზღვროს ვადა, რომელიც არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები. ამ ვადაში დოკუმენტების წარუდგენლობისას, ლიცენზიის გამცემ ორგანოს უფლება აქვს (მაგრამ არ არის ვალდებული) განმცხადებლის მოთხოვნით, მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღით დამატებით გააგრძელოს დოკუმენტების წარდგენის ვადა.

- ✓ **ლიცენზიის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ვადის ათვლა განახლდება ინფორმაციის სრულად წარდგენის დღიდან.**

თუ წარდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია ერთთვიან ვადაში, იგი შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 3 თვემდე, რის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღება განცხადების შეტანიდან, რის შესახებაც განმცხადებელს უნდა ეცნობოს არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

ლიცენზიის გამცემი ორგანო ვალდებულია განცხადების დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებიდან 3 დღის განმავლობაში გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისთვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ. საჯარო გაცნობისთვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში ნებისმიერ პირს უფლება აქვს ლიცენზიის გამცემ ორგანოში გაეცნოს მაძიებლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებსა და სხვა დაინტერესებული პირების მოსაზრებებს. ნებისმიერი პირის მიერ მოსაზრების წარდგენის ვადის გასვლიდან 5 დღის ვადაში იმართება საქმის ზეპირი მოსმენა, რომლის გამართვის შესახებ მაძიებელს უნდა ეცნობოს 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ უნდა იქნეს ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

[19] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილი.

განმცხადებელს ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემამდე წერილობითი სახით შეუძლია აცილება განუცხადოს ლიცენზიის გამცემი ორგანოს თანამდებობის პირს

ლიცენზიის გამცემი ორგანო ლიცენზიის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ერთ სამუშაო დღეს. გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ ძალაში შედის გამოქვეყნების მომენტიდან.

- ✓ **სალიცენზიო მოწმობა გაიცემა ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 დღის ვადაში.**

ინფორმაცია ლიცენზიის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 10 დღის ვადაში ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“.

ლიცენზიის გაცემის ზოგადი (სტანდარტული) სქემა



ნებართვის გაცემის წესი

ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას ნებართვის გამცემი ორგანო იღებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით (გარდა გამონაკლისებისა: მაგ.: მშენებლობის ნებართვა გაიცემა საჯარო ადმინისტრაციული წესით, იხ. ლიცენზიის გაცემის გაცემის წესი გვ. 45).

საქმისწარმოება იწყება წერილობითი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების წარდგენით ნებართვის გამცემ ორგანოში, რომლის რეგისტრაციასაც ახორციელებს შესაბამისი სტრუქტურის კანცელარია. ნებართვის გამცემი ორგანო ვალდებულია განცხადება რეგისტრაციაში გაატაროს მიღებისთანავე და დაუსვას მას რეგისტრაციის თარიღი და ნომერი, ხოლო განმცხადებლის მოთხოვნისას - დაუყოვნებლივ გასცეს ცნობა განცხადების რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

ნებართვის გამცემი ორგანო განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში ამოწმებს წარდგენილი განცხადებისა და მასზე თანდართული მასალების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან (ნებართვის მისაღებ სანებართვო პირობებთან). დოკუმენტების არასრულად წარდგენისას ნებართვის გამცემმა ორგანომ უნდა მოსთხოვოს განმცხადებელს აუცილებელი დოკუმენტების წარდგენა და ამისთვის განუსაზღვროს 3 დღიანი ვადა. ამ ვადაში დოკუმენტების წარუდგენლობისას, ნებართვის გამცემ ორგანოს უფლება აქვს (მაგრამ არ არის ვალდებული) განმცხადებლის მოთხოვნით, მხოლოდ ერთხელ, არა უმეტეს 15 დღით დამატებით გააგრძელოს დოკუმენტების წარდგენის ვადა.

- ✓ **დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტების წარუდგენლობა იწვევს ნებართვის მოთხოვნის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვებას.**

თუ წარდგენილი დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებისას აღმოჩნდება, რომ გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია 15 დღიან ვადაში, იგი შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 3 თვემდე. ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიცეს განცხადების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 3 დღისა, რის შესახებაც უნდა ეცნობოს მაძიებელს არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

ნებართვის გაცემის პროცესში მაძიებელი მონაწილეობს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით. განმცხადებელს ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე შეუძლია, წერილობითი სახით აცილება განუცხადოს ნებართვის გამცემი ორგანოს თანამდებობის პირს. ნებართვის თაობაზე ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიცეს განცხადების წარდგენიდან (რეგისტრაციიდან) 15 დღის ვადაში (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა).

თუ საქმის განხილვისას გამოვლინდება ისეთი გარემოებები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ნებართვის გაცემაზე უარის თქმა, გამცემი ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე, მისცეს განმცხადებელს უარმყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, თუ:

- უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ (მაგ.: საქმისწარმოებისას გამოვლინდა, რომ განცხადება წარდგენილია არარსებული სუბიექტის მიერ ან არასწორია რეესტრული მონაცემები);
- ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისგან.

აღნიშნულ გარემოებათა შესახებ განმცხადებელი ნებართვის გამცემს 3 დღის ვადაში წარუდგენს საკუთარ მოსაზრებას. თუ განმცხადებელს უარი ეთქვა ნებართვის მიღებაზე, მას ხელმეორედ იმავე მოთხოვნით განცხადების შეტანა შეუძლია მხოლოდ მაშინ, თუ:

1. აღმოიფხვრება ის გარემოება, რაც გახდა ნებართვის გაცემაზე უარის თქმის საფუძველი;
2. შეიცვლება ფაქტობრივი ან/და სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ადმინისტრაციული აქტის გამოცემას;
3. არსებობს ახლად აღმოჩენილი, ახლად გამოვლენილი გარემოებები (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებენ განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელ ადმინისტრაციული აქტის გამოცემას;
4. სახეზეა ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა, ანუ ნებართვის გამცემი ორგანოსათვის ხელმეორედ მიმართვისას განმცხადებლის მდგომარეობა შეცვლილია (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მომსახურე პერსონალი, დოკუმენტაცის სრულყოფილება და ა.შ.);
5. ადგილი აქვს საკანონმდებლო ცვლილებებს – ის პირობა, რომელსაც განმცხადებელი ადრე ვერ აკმაყოფილებდა, საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ აკმაყოფილებს ან/და ცვლილებების შედეგად ესა თუ ის პირობა საერთოდ ამოღებულ იქნა კანონიდან.

ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ნებართვის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. ნებართვის გამცემი ვალდებულია ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღეში გასცეს სანებართვო მოწმობა. ადმინისტრაციული აქტი ნებართვის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ ძალაში შედის განმცხადებლისთვის გადაცემის მომენტიდან.

ნებართვის გაცემის ზოგადი (სტანდარტული) სქემა



საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო სამმართველოში ბიუჯეტების შემოსულობებისათვის გახსნილი სატრანზიტო ანგარიშები
/ბანკის კოდი 220101107/

ტერიტორიული ერთეულებისათვის ბიუჯეტის შემოსულობების სატრანზიტო ანგარიშები

№	ტერიტორიული ერთეულის დასახელება	სატრანზიტო ანგარიშის ნომერი	№	ტერიტორიული ერთეულის დასახელება	სატრანზიტო ანგარიშის ნომერი
		არასაგადასახადო შემოსულობებისთვის			არასაგადასახადო შემოსულობებისთვის
1	გლდანი-ნაძალადევი	507121701	38	ჩხოროწყუ	519121139
2	დიდუბე-ჩუღურეთი	507121002	39	წალენჯიხა	519121540
3	მთაწმინდა-კრწანისი	507121303	40	ხობი	519121841
4	ვაკე-საბურთალო	507121604	41	მესტია	519121142
5	ისანი-სამგორი	507121905	42	ფოთი	537121043
6	რუსთავი	507121206	43	გორი	514121244
7	დმანისი	507121507	44	კასპი	514121545
8	თეთრი წყარო	507121808	45	ქარელი	514121846
9	ბოლნისი	507121109	46	ხაშური	514121147
10	მარნეული	507121510	47	თიღვი	514121448
11	გარდაბანი	507121811	48	ერედვი	514121749
12	წალკა	507121112	49	ქურთა	514121150
13	მცხეთა	507121714	50	გურჯაანი	515121751
14	თიანეთი	507121015	51	თელავი	515121052
15	დუშეთი	507121316	52	სიღნაღი	515121353

16	ყაზბეგი	507121617	53	დედოფლისწყარო	515121654
17	ახალგორი	507121918	54	ახმეტა	515121955
18	ქუთაისი	525121819	55	საგარეჯო	515121256
19	ზესტაფონი	525121220	56	ყვარელი	515121557
20	თერჯოლა	525121521	57	ლაგოდეხი	515121858
21	სამტრედია	525121822	58	ახალციხე	508121959
22	საჩხერე	525121123	59	ასპინძა	508121360
23	ვანი	525121424	60	ახალქალაქი	508121661
24	ბაღდათი	525121725	61	ადიგენი	508121962
25	წყალტუბო	525121026	62	ბორჯომი	508121263
26	ჭიათურა	525121327	63	ნინოწმინდა	508121564
27	ტყიბული	525121628	64	ლანჩხუთი	531121065
28	ხარაგაული	525121929	65	ჩოხატაური	531121366
29	ხონი	525121330	66	ოზურგეთი	531121667
30	ამბროლაური	525121631	67	სოხუმი	501121668
31	ლენტეხი	525121932	68	გალი	501121969
32	ონი	525121233	69	ბათუმი	502121670
33	ცაგერი	525121534	70	ქედა	502121971
34	ზუგდიდი	519121935	71	ქობულეთი	502121272
35	მარტვილი	519121236	72	ხულო	502121573
36	აბაშა	519121537	73	ხელვაჩაური	502121874
37	სენაკი	519121838	74	შუახევი	502121175

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია 1999 წლიდან აქტიურად მონაწილეობს ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ ახალი კანონების მომზადებისა და დანერგვის პროცესში. ახალი კანონმდებლობის დანერგვის მიზნით გამოიცა რამდენიმე ნაშრომი, ჩატარდა კონფერენციები მეწარმეთა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის. 2004 წლის 1ოქტომბრიდან 2005 წლის 31 მაისამდე ორგანიზაციაში წარმოებს სატელეფონო კონსულტაციები, რომლის მიზანია ნებისმიერ მსურველ პირს მისცეს განმარტებები ლიცენზიების ანდა ნებართვების თაობაზე.

ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ უკვე გამოცემულია შემდეგი ნაშრომები:

- „როგორ მივიღოთ ლიცენზია და ნებართვა კვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოების სფეროში", გზამკვლევი. 2003 წელი;
- „როგორ მივიღოთ ლიცენზია და ნებართვა ვეტერინარიის სფეროში სამეწარმეო საქმიანობაზე", გზამკვლევი. 2003 წელი;
- „როგორ მივიღოთ ლიცენზია და ნებართვა სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სფეროში", გზამკვლევი. 2003 წელი;
- „როგორ მივიღოთ მშენებლობის ნებართვა", გზამკვლევი. 2004 წელი;

- „როგორ მივიღოთ პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის ნებართვა", გზამკვლევი. 2004 წელი;
- „როგორ მივიღოთ ნებართვა საქალაქთაშორისო და საგარეუბნო რეგულარულ სამგზავრო გადაყვანაზე", გზამკვლევი. 2004 წელი;
- „როგორ მივიღოთ ლიცენზია ყვების პროდუქტებისა და თამბაქოს წარმოებაზე", გზამკვლევი. 2005 წელი.